ხელშეკრულება საქონლის შესყიდვის შესახებ

№ RDP/D/G/015-2013

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია *14 თებერვალი 2013 წ.*

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.2 „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება;

1.3 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.4 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ *სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს* (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ *შპს "ჰორეკა"-ს* (შემდგომში „მიმწოდებელი") შორის.

3. ხელშეკრულების საგანი, მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: შემსყიდველისთვის **ჰიგიენური საშუალებების მოწოდება (CPV კოდები: 3376400; 33761000, 33711900).**

3.2 მოსაწოდებელი საქონლის ჩამონათვალი და ერთეულის ფასები მითითებულია დანართში №1.

ერთეულის ფასები ფიქსირებულია და არ ექვემდებარება ცვლილებას კონტრაქტის განხორციელების პროცესში, გარდა წინამდებარე ხელშეკრულების მე-11 მუხლის 11.2 ქვე-მუხლში მითითებული გარემოებისა.

3.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს <u>2013 წლის 14 თებერვლიდან 2013 წლის 14 აგვისტოს ჩათვლით,</u> მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში წინამდებარე ხელშეკრულების მე-20 მუხლში მითითებულ მისამართზე.

3.4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა და სხვა სათანადო დოკუმენტაცია).

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 მომსახურების ღირებულება შეადგენს 3,395.50 (სამი ათას სამასოთხმოცდათხუთმეტი და 50/100) ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადების ჩათვლით.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

5.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 14 სექტემბრის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსრულებელი ვალდებულია მიაწოდოს დანართში №1 მითითებული საქონელი ყოველთვიურად შემსყიდველის მიერ მიმწოდებლის სახელზე მოთხოვნის გაგზავნიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის განმავლობაში. მოთხოვნის გაგზავნა განხორციელდება მხარეთა შეთანხმებისამებრ, ან ელ-ფოსტის ან, წერილობითი შეტყობინების სახით.

6.2. შემსრულებელი ვალდებულია შემსყიდველს დაუმონტაჟოს დანარში №1 მითითებული საქონლის შესაბამისი დისპენსერები.

6.3. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში.

6.4. შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს მის მიერ დამონტაჟებული 6.2 ქვე-მუხლში ნახსენები დისპენსერები კონტრაქტის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ.

6.5. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

6.6. მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურება გაწეულად ჩაითვლება შესაბამისი ანგარიშფაქტურის გამოწერის და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროს ქ-ნი ქეთევან ქადაგიშვილი და სამეურნეო უზრუნველყოფის სპეციალისტი ბ-ნ დავით გოგლიძე.

8.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

8.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. გაწეული მომსახურების ხარისხი და გარანტია

9.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება არ გამოავლენს ხარვეზებს და შესრულებული იქნება მახალხარისხოვნად. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

10. ანგარიშსწორება

10.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

10.2 ანგარიშსწორება მოხდება მომსახურების გაწევისა და შესაბამისი ანგარიშფაქტურის გამოწერის შემდეგ არაუგვიანეს 28 (ოცდარვა) დღის განმავლობაში.

10.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე:

ბანკის სახელი:	სს "თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი:	TBCBGE22
ა/ა:	GE 31 TB 183 553 602 010 00 03
მომხმარებელი:	შპს "ჰორეკა"
ს/კ:	204 557 452

11. ფასები

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების დაფიქსირებული შესასყიდი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

11.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია საცალო ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილებით, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, მხარეებს შორის შეთანხმების საფუძველზე.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

12.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

14. სუბ-კონტრაქტორები

14.2 იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტის დადების ან სუბ-კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

14.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.

14.4 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

15. ფორს-მაჟორი

15.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

16.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 3.3. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1% ოდენობით. პირგასამტეხლოს გადახდა

განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

16.2. შემსყიდველის მხრიდან თანხის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1% ოდენობით.

16.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

17. ხელშეკრულების შეწყვეტა

17.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

17.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

17.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

17.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

17.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

18. დავების გაწყვეტის წესი

18.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა დონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

18.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

19. სხვა პირობები

19.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

20. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

ს.ს.ი.პ. „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი“	*შპს „ჰორეკა”*
აღმაშენებლის გამზირი №150, ქ. თბილისი, 0112, საქართველო საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ც. ფ. კოდი: 220 101 502 ა/ა: GE17 BG0000000264040906 ს/კ: 206 074 193	ფაქტიური მისამართი: ჩაჩავას ქ. №8, თბილისი, საქართველო იურიდიული მისამართი: აბო თბილელის ქ. №10, თბილისი, საქართველო ბანკის სახელი: სს “თიბისი ბანკი” ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა: GE 31 TB 183 553 602 010 00 03 მომხმარებელი: შპს “ჰორეკა” ს/კ: 204 557 452
საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი	დირექტორი
ელგუჯა ხოკრიშვილი	არჩილ ხომასურიძე

დანართი №1

ხელშეკრულების საგანი და CPV კოდები

№	საქონლის ჩამონათვალი და დახასიათება	დამატებითი მახასიათებლები	რაოდენობა	CPV კოდები	ერთეულის ფასი დღგ-ს ჩათვლით	ჯამური ღირებულება
1	ხელსაწმენდი რულონი, 7 დისპენსერით: საპირფარეშოს ხელსახოცი რულონი 2 ფენა, მინ 150 მეტრი, თეთრი, პერფორირებული	H-1 პირსახოცი რულონი ედვანსი 2 ფენა თეთრი*150მ.	150 რულონი	337 64000	13.57	2,035.50
2	თეთრი ხელსახოცი 100 ცალიანი შეკვრა	ხელსახოცი ზევა პლუსი*100ც	25 ცალი	337 64000	1.60	40.00
3	საპირფარეშოს ქაღალდი, 13 დისპენსერით: ტუალეტის ქაღალდი საშუალო ზომის რულონი 2 ფენა, მინ 170 მეტრი, თეთრი	T-2 ტ/ქ მინი ჯამბო ედვანსი 2 ფენა *170 მ.	300 ცალი	337 61000	4.00	1,200.00
4	თხევადი საპონი არომატით, თხევადი სასაპნის 13 დისპენსერით	თხ. საპონი-კრემი უნივ. ხელის*4 ლტ.	12 ცალი	337 11900	10.00	120.00
					სულ:	**3,395.50**